გლობალური პანდემიის სამართლებრივი გამოწვევები

აპრილი, **2020**

KPMG Georgia Legal Services

შესავალი

საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის დეკრეტით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. დეკრეტის საფუძველზე საქართველოს მთავრობამ მიიღო მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები კორონა ვირუსის ეპიდემიასთან საბრძოლველად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

ვირუსით გამოწვეულმა გლობალურმა პანდემიამ არსებითად შეცვალა ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები. საგანგებო მდგომარეობის ვადით დადგენილი შეზღუდვების გამო საქართველოს მოსახლეობა, ბიზნეს სექტორი და სახელმწიფო სტრუქტურები აქამდე გამოუცდელი გამოწვევების წინაშე დააყენა.

KPMG-ის გლობალური ქსელის წევრი კომპანიები ახორციელებენ აქტიურ საინფორმაციო კამპანიას ბიზნესსა და საზოგადოებაზე პანდემიის უარყოფითი გავლენის შესამცირებლად, რასაც KPMG Georgia წინამდებარე დოკუმენტით უერთდება.

ჩვენი გლობალური რესურსები:

- Embedding Resilience, A guide to the business implications of COVID-19
  მუდმივად განახლებადი გლობალური პლატფორმა
- Responding to challenging times, The potential tax, legal and mobility implications of COVID-19
  გლობალური საგადასახადო, იურიდიული და საიმიგრაციო გზამკვლევი.
- Keeping Connected Globally Virtual Meeting Series
  ჩვენი გლობალური ლიდერები პანდემიის საგადასახადო და იურიდიული შედეგების შესახებ

© 2020 შპს KPMG Georgia, რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არის „KPMG“-ს ქსელის დამოუკიდებელი ფირმების წევრი, რომელიც ერთიანდება შვეიცარულ ორგანიზაციაში „KPMG International Cooperative“ („KPMG International“). ყველა უფლება დაცულია დაბეჭდილია საქართველოში

ურთიერთობა თანამშრომლებთან

COVID-19 ეპიდემიის პიკის მოლოდინში, ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორი დასაქმების პოლიტიკისა და თანამშრომლებთან ურთიერთობის რეჟიმის არსებითი ცვლილებების საჭიროების წინაშე დადგა. გთავაზობთ არსებითი სამართლებრივი საკითხების ჩამონათვალს ადამიანური კაპიტალის ეფექტური მართვის კუთხით თქვენი ბიზნესის მზაობის შესამოწმებლად:

- ცვლილებები შრომით ხელშეკრულებებში დისტანციურად მომუშავე პერსონალის სამუშაო ადგილის და სხვა არსებითი შრომითი პირობების ცვლილებების დასარეგულირებლად;
- შრომითი უსაფრთხოების უზრუნველყოფის დადგენილი მოთხოვნების შესრულების თაობაზე კომპეტენტური პირების მიერ დასკვნის მომზადება და თანამშრომლების ინფორმირების შესახებ დოკუმენტაციის მომზადება;
- თვითიზოლაციაში, კარანტინსა ან სამედიცინო დაწესებულებებში მოთავსებულ თანამშრომლებთან დროებითი შრომისუუნარობის საკითხის შეფასება და ანაზღაურების თაობაზე წერილობითი კომუნიკაციის მომზადება;
- ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების მოთხოვნისა და გაცემის დადგენილი წესის დაცვის შესახებ სათანადო წერილობითი დოკუმენტაციის მომზადება;
- სამუშაო ძალის შემცირების საჭიროების შემთხვევაში, სათანადო ეკონომიკური და საოპერაციო დასაბუთების მომზადება.

© 2020 შპს KPMG Georgia, რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არის „KPMG“-ს ქსელის დამოუკიდებელი ფირმების წევრი, რომელიც ერთიანდება შვეიცარულ ორგანიზაციაში „KPMG International Cooperative“ („KPMG International“). ყველა უფლება დაცულია დაბეჭდილია საქართველოში



ურთიერთობა ადგილობრივ ბიზნეს პარტნიორებთან

ეპიდემიამ არსებითი გავლენა მოახდინა ბიზნესის მრავალ სექტორზე. ახალმა რეალობამ საჭირო გახადა ცვლილებები თითქმის ყველა ბიზნეს ურთიერთობაში. საგანგებო მდგომარეობის შუა პერიოდში, სწორი სამართლებრივი ნაბიჯების გადადგმის მიზნით, მნიშვნელოვანია სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინება:

- ფორს-მაჟორული გარემოებებისა და ეკონომიკური მდგომარეობის არსებითად ცვლილების მარეგულირებელი მუხლების არსებობა ხელშეკრულებაში და მათი მოქმედების ფარგლების განსაზღვრა;
- ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად, მხარისთვის შეტყობინების სათანადო წესით გაგზავნა;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ნორმების გამოყენების მიზანშეწონილობის შეფასება:
  - ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი;
  - ზიანის ანაზღაურების ფარგლები ბრალეული და ბრალის გარეშე ვალდებულების დარღვევისთვის;
  - ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმა შემხვედრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო.
- ხელშეკრულების მეორე მხარესთან განხორციელებული მოლაპარაკებების წერილობითი მტკიცებულების არსებობა და შეთანხმების შემთხვევაში სათანადო ცვლილებების განხორციელება.

© 2020 შპს KPMG Georgia, რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არის „KPMG“-ს ქსელის დამოუკიდებელი ფირმების წევრი, რომელიც ერთიანდება შვეიცარულ ორგანიზაციაში „KPMG International Cooperative“ („KPMG International“). ყველა უფლება დაცულია დაბეჭდილია საქართველოში
.

ურთიერთობა უცხოურ ბიზნეს პარტნიორებთან

ვირუსი გლობალური გამოწვევაა, რაც განსაკუთრებით ზრდის უცხოელ პარტნიორებთან სამართლებრივი ურთიერთობის ანალიზის საჭიროებას. საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვის არსებითად რღვევისა და სხვა გარე ეკონომიკური ცვლილებების ჭრილში, მნიშვნელოვანია სახელშეკრულებო უფლებებისა და ვალდებულებების საფუძვლიანი შეფასება მათ შორის შემდეგი დამატებითი ფაქტორების გათვალისწინებით:

- საერთაშორისო ხელშეკრულების (მაგალითად, ვენის ნასყიდობის საერთაშორისო კონვენციის) მოქმედების შემოწმება;
- სახელშეკრულებო ურთიერთობის მარეგულირებელი კანონმდებლობის განსაზღვრა;
- ფორს-მაჟორის ან პასუხისმგებლობის გამომრიცხავი სხვა გარემოებების რეგულირება მოქმედ კანონმდებლობაში;
- უცხოელი ბიზნეს პარტნიორის სახელმწიფოს სამთავრობო ღონისძიებები პანდემიის საპასუხოდ;
- დავის განხილვაზე კომპეტენტური სასამართლოს/არბიტრაჟის განსაზღვრა და რელევანტური იურისდიქციის პრაქტიკის მიმოხილვა ფორს-მაჟორული და სხვა მსგავსი გარემოებებიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების ან ხელშეკრულების ცვლილებების აღსრულების კუთხით.

© 2020 შპს KPMG Georgia, რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არის „KPMG“-ს ქსელის დამოუკიდებელი ფირმების წევრი, რომელიც ერთიანდება შვეიცარულ ორგანიზაციაში „KPMG International Cooperative“ („KPMG International“). ყველა უფლება დაცულია დაბეჭდილია საქართველოში

საკონტაქტო პირები

კახა რუხაძე
მმართველი პარტნიორი

+995 322 935695
krukhadze@kpmg.com
www.kpmg.ge

ჯაბა გველებიანი
იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი

+995 322 935695
jgvelenbiani@kpmg.com
www.kpmg.ge

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია არის ზოგადი ხასიათის და არ არის განკუთვნილი კონკრეტული ინდივიდის ან ორგანიზაციის საჭიროებებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვცდილობთ მოგაწოდოთ ზუსტი და დროული ინფორმაცია, წინამდებარე დოკუმენტი არ შეიძლება იქნას გაგებული, როგორც გარანტია, რომ ინფორმაცია ზუსტია დოკუმენტის თქვენ მიერ მიღების თარიღზე ან იქნება ზუსტი მომავალში. არავინ არ უნდა დაეყრდნოს აქ მოცემულ ინფორმაციას კონკრეტული შემთხვევის სათანადო ანალიზის შედეგად მიღებული პროფესიული რჩევის გარეშე.

© 2020 შპს KPMG Georgia, რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არის „KPMG“-ს ქსელის დამოუკიდებელი ფირმების წევრი, რომელიც ერთიანდება შვეიცარულ ორგანიზაციაში „KPMG International Cooperative“ („KPMG International“). ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია საქართველოში
სახელი „KPMG“ და მისი ლოგო წარმოადგენენ „KPMG International“-ის რეგისტრირებულ სავაჭრო ნიშნებს.